

ანდრესპიკერ ოტერო

კომპლუტენზას უნივერსიტეტი, მადრიდი

შემოქმედებითი ფილოლოგია და გლოსები. მეფეთა ნიგნების მეორნული ვერსიები და ლექსიკური აკუმლაცია ან მუტაცია

სეპტუაგინტადან შესრულებული თარგმანები ზოგჯერ დედანზე უფრო ვრცელ ტექსტებს წარმოგვიდგენენ, რომელთაც არ ეძებნებათ ზუსტი ეკვივალენტები ჩვენამდე მოღწეულ ბერძნულ წყაროებში. ხშირად ისეთ პროცესებსა და ელემენტებს გვიჩვენებენ, რომლებიც ცხადყოფენ, რომ ისინი მომდინარეობენ არა განსხვავებული *Vorlage*-დან, არამედ მთარგმნელთა და გადამწერთა შემოქმედების ნაყოფნი არიან. ასეთი შემთხვევების იმეტესობას წარმოადგენს ლექსიკური ვარიაციები ან ისეთი მატებები, როგორცაა გლოსები ან ორმაგ იკითხვისთა სხვა ფორმები. ზოგიერთი მათგანი ტექსტის დინამიკის მაჩვენებელია, მაგალითად, კონტექსტის ცხადყოფას ემსახურება, ზოგჯერ კი ორმაგი ტექსტების (დუბლეტების) მიზანმიმართულ შექმნაზე მიუთითებენ, როდესაც ვარიანტი სხვა წყაროდანაა დამატებული. ეს პროცესები მნიშვნელოვანი არა მხოლოდ ტექსტოლოგისათვის, არამედ ისტორიკოსთათვისაც, რომლებიც ბიბლიის ამა თუ იმ ნიგნის კულტურულ ასპექტებს სწავლობენ. მათი მეშვეობით ანტიკურობიდან შუა საუკუნეებისათვის ცოდნის გადაცემასაც მევადევნებთ თვალს.

მოხესებაში შევეცდებით წარმოვადგინოთ ამგვარი იკითხვისების შესაძლო ტიპები. მათი წარმოქმნა შესაძლოა თეოლოგიური შეხედულებებითაც იყოს განპირობებული, მაგრამ, ყველაზე მეტად, პროტო-ბიბლიური ფილოლოგიის მიდგომებითა და პრინციპებითაა შეპირობებული, რომლე-

ბითაც აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირელი და კავკასიელი
გადამწერები და ფილოლოგები ხელმძღვანელობდნენ.

